ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N21/გ

ქ. მცხეთა 02 თებერვალი 2017 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ, ი.მ **„ბადრი სოლოღაშვილი“** შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის შეკეთება . (CPV50700000).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2017 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 890 (რვაასოთხმოცდაათი) ლარი.

3 . ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გურამ მიჭელაშვილი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მოწოდებელი"	„შემსყიდველი"
ი/მ „ბადრი სოლოღაშვილი	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ 31001028258	ს/კ 236098824
ბანკი: „საქართველოს ბანკი "	ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE79BG0000000560212800	ა/N GE24NB0330100200165022
მის: მცხეთა, სოფ. ძეგვი	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7
ტელ: 593 34 52 27	
ინდ. მეწარმე	მუნიციპალიტეტის გამგებელი
ბ. სოლოღაშვილი	ზ. აბესაძე